

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12. 08. 2016 წელი

1 ეგზ.

ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“

ფინანსური აუდიტის ანგარიში N46/36

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უარყოფითი მოსაზრების საფუძველები.....	5
არაფინანსური აქტივები	5
შემოსავლები	6
ქონების გადასახადი	9
მოგების გადასახადი.....	11
უარყოფითი მოსაზრება	11
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	11
ადამიანური რესურსები.....	11
დარღვევა-ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს.....	13
უძრავი ქონების იჯარა	19
ციტრუსის რეალიზაცია თანმდევი მომსახურებით	19
ბილეთების რეალიზაცია უნაღლო ანგარიშსწორებით	20
სანერგე მეურნეობა	20
ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა	21
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	21
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები.....	22
2014 წლის ბალანსი	22
2015 წლის ბალანსი	29




ზოგადი ინფორმაცია

ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ (შემდგომში - „ბოტანიკური ბაღი“) არის არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ბოტანიკური ბაღი, ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით, მიეკუთვნება მრავალმიზნობრივი ბოტანიკური ბაღის ტიპს და მოიცავს საქმიანობის ფართო სფეროს. ბოტანიკური ბაღის მისიაა ხელი შეუწყოს მცენარეთა კოლექციის ბაღში თავმოყრას, მის დოკუმენტირებას და გამოყენებას სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნებით, უზრუნველყოს საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა კონსერვაცია, დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.

ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს და ბოტანიკური ბაღის საქმიანობას ხელმძღვანელობს ბოტანიკური ბაღის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ბოტანიკური ბაღის დირექტორი გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.

ბოტანიკური ბაღი ფინანსდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. გარდა აღნიშნულისა, ბოტანიკურ ბაღს აქვს საკუთარი შემოსავლები შესასვლელი ბილეთების, ნერგების და სხვა საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და საკუთარი შემოსავლების მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ლარში):





დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ ბალანსებს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების



საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველები

არაფინანსური აქტივები

ბოტანიკური ბაღის არაფინანსური აქტივების 2014 წლის და 2015 წლის საბალანსო მონაცემი შემცირებულია არანაკლებ 118 727 864 ლარით.

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ინფორმაციით¹, ბოტანიკურ ბაღს, 2014-2015 წლებში, უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობაში ჰქონდა 1 088 308 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნორმატული ღირებულება ქონების სარგებლობაში გადაცემის მომენტისათვის შეადგენდა 117 537 264 ლარს. ბოტანიკური ბაღის 2014 წლის და 2015 წლის ბალანსებით, ორგანიზაციას არაწარმოებული აქტივები არ გააჩნია. შესაბამისად, ბოტანიკური ბაღის არაწარმოებული აქტივების საბალანსო მონაცემი, შესაბამის წლებში, შემცირებულია 117 537 264 ლარით.

¹ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.34.25.107; 05.34.25.108; 05.34.25.125



მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბოტანიკური ბაღის 2014 წლის და 2015 წლის ბალანსებში არ არის ასახული ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული, არანაკლებ 1 190 600 ლარის ღირებულების² 21 დასახელების შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი აქტივები. შესაბამისად, ბოტანიკური ბაღის არაფინანსური აქტივების 2014 წლის და 2015 წლის საბალანსო მონაცემები ჯამურად შემცირებულია არანაკლებ 118 727 864 ლარით. აქვე აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას, 2014-2015 წლებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ გაუთვალისწინებლად, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია.

შემოსავლები

ბოტანიკური ბაღის საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციას 2014 წელს ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული აქვს 1 357 924 ლარი, რაც 541 012 ლარით ნაკლებია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე, ხოლო 2015 წელს -1 499 869 ლარი, რაც 135 451 ლარით მეტია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე. მოპოვებული მტკიცებულებებით, არსებობს მაღალი რისკი, ბოტანიკური ბაღის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული რეალური შემოსავლების არასრულად ასახვისა და მიღებული თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბოტანიკურ ბაღში, ნაღდი ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება საკონტროლო-სალარო აპარატები. აუდიტის პერიოდში, შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულია ცხრა ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატი. აპარატები განლაგებულია ბოტანიკური ბაღის შესასვლელებში, ელექტრომობილებსა და ადმინისტრაციულ შენობაში. აპარატების ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ მოლარეები, რომლებიც პერიოდულად იცვლიან სამუშაო ადგილს. სალარო წიგნის ოპერაციებს, აგრეთვე, ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის სალაროში არსებული თანხის ბანკში შეტანას ახორციელებდნენ საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მთავარი სპეციალისტები. შესაბამის პერიოდში, ბოტანიკური ბაღის შესასვლელებსა და ელექტრომობილებში განთავსებული სალაროების სამუშაო დღის შემოსული თანხა, სალაროს წიგნში ასახვის გარეშე, შეიტანებოდა ხაზინის ანგარიშზე³.

² დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა N30/11-15/1, 30/11/2015 წ.

³ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-4 მუხლის 25-ე პუნქტი



2015 წელს, 19-21 ივლისის პერიოდში, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, რამდენიმე დღის განმავლობაში, ჯამში სალაროდან პირადი მიზნებისთვის გაიტანა 53 541 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციას, ორგანიზაციის ანგარიშზე თანხის მოძრაობის კონტროლის შესაძლებლობა ჰქონდა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხელმძღვანელობას ეს ფაქტი არ გამოუვლენია. აუდიტის ობიექტის დასკვნით⁴, 2015 წლის 21 ივლისს აღნიშნული ცნობილი გახდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის, თუმცა ეს ფაქტი თავიდანვე ცნობილი იყო იგივე უფლებამოსილების მქონე სხვა მთავარი სპეციალისტისთვის. არსებული მასალებით, სამართალდამრღვევი პირი ფაქტის გაცხადების⁵ შემდეგაც, 2015 წლის 7 აგვისტომდე ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას⁶, ხოლო მეორე პირი დღემდე აგრძელებს საქმიანობას ბოტანიკური ბაღში⁷. აქვე აღსანიშნავია, რომ საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების ზემოაღნიშნული უფლებამოსილების მქონე მთავარ სპეციალისტებთან, ისევე როგორც სხვა მოღარეებთან, არ არის გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ⁸ და მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლად⁹, არ არის განსაზღვრული სალაროში ყოველდღიურად ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობა.

აუდიტის ჯგუფის მიერ 2016 წლის 28 ივლისს განხორციელებული საკონტროლო შემოწმების შედეგად, სალაროში ნაღდი ფულის სახით აღმოჩნდა 8 011 ლარი, რაც 3 000 ლარით ნაკლებია სალაროს წიგნში არსებულ მონაცემზე. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სხვაობის თანხა, შესაბამისი უწყისის

⁴ დასკვნა N01-34/1218, 05/08/2015 წ.

⁵ 21/07/2015 წ.

⁶ ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ დირექტორის ბრძანება N44, 07/08/2015 წ.

⁷ ფაქტიდან გამომდინარე, დასაქმებული 2015 წლის 7 აგვისტოს გადაყვანილი იქნა მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების მეთესლეობის სექტორის დამხმარე ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე, 2015 წლის 29 სექტემბერს დაინიშნა მარკეტინგის დეპარტამენტში გიდის თანამდებობაზე, ხოლო 2016 წლის 8 იანვრიდან დღემდე ასრულებს იმავე დეპარტამენტში დამხმარე ტექნიკური პერსონალის მოვალეობებს

⁸ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი



საფუძველზე, გაცემულია საკონტროლო-სალარო აპარატის მოლარეებზე¹⁰, თუმცა აღნიშნული ოპერაციები არ არის ასახული სალაროს წიგნში¹¹.

ბოტანიკური ბაღის საბუღალტრო მონაცემებით, 2014 წელს ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით სულ მიღებული აქვს 1 357 924 ლარი, რაც 541 012 ლარით ნაკლებია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე. სხვაობები ფიქსირდება მხოლოდ სამ საკონტროლო-სალარო აპარატზე, 2014 წლის მაისის თვიდან 2014 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით, მხოლოდ იმ დღეებში, როცა აღნიშნულ საკონტროლო-სალარო აპარატთან მუშაობდა ერთი და იგივე პირი¹². მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, აღნიშნული მოლარე, სამუშაო დღის განმავლობაში, რამდენჯერმე ბეჭდავდა “Z” ანგარიშს. ძირითადად, მომდევნო “Z” ანგარიშის მაჯამებელი მრიცხველის ჩვენების მონაცემი მეტი იყო წინა “Z” ანგარიშის მონაცემზე, მაგრამ ფიქსირდება შემთხვევებიც, როდესაც მომდევნო “Z” ანგარიშის მონაცემი ნაკლებია წინა “Z” ანგარიშის მონაცემზე. ამასთან, საბუღალტრო აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში წარმოდგენილია, სამუშაო ცვლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი “Z” ანგარიში. მნიშვნელოვანია აგრეთვე, შესაბამის პერიოდში, აღნიშნული მოლარის მხრიდან, საკონტროლო-სალარო აპარატის ერთი ოპერაციით შეუსაბამოდ დიდი თანხის ამობეჭდვის შემთხვევები.

ბოტანიკური ბაღის საბუღალტრო მონაცემებით, 2015 წელს ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით ორგანიზაციას სულ მიღებული აქვს 1 499 869 ლარი, რაც 135 451 ლარით მეტია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე. სხვაობები ფიქსირდება მხოლოდ ერთ საკონტროლო-სალარო აპარატზე¹³. კერძოდ, აღნიშნულ აპარატზე ამობეჭდილი „Z“ ანგარიშის მაჯამებელი მრიცხველის ჩვენების მონაცემი, 2015 წლის 30 ივნისიდან 27 სექტემბრამდე, არ ფიქსირდებოდა შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში¹⁴. წარმოდგენილი დოკუმენტაციით,

¹⁰ თანხის მოლარეებზე გაცემის ფაქტი ადგილზე შემოწმებით დადასტურდა

¹¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-4 მუხლის მე-20 პუნქტი.

¹² დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹³ DY00072115

¹⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო



ზემოაღნიშნული საკონტროლო-სალარო აპარატი 2015 წლის 6 ივლისს შესაკეთებლად გაეგზავნა მომსახურების გამწევ კომპანიას - შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკს“. შესაბამისად, აუდიტის ობიექტს ჰქონდა ინფორმაცია საკონტროლო-სალარო აპარატის შესაძლო გაუმართაობის თაობაზე. შესაბამის პერიოდში, ბოტანიკური ბაღის საბუღალტრო აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში წარმოდგენილია, სამუშაო ცვლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი “Z” ანგარიში. ამასთან, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მოლარეს ჰქონდა ტექნიკური შესაძლებლობა, სამუშაო ცვლის განმავლობაში, ამოეხედა რამდენიმე “Z” ანგარიში, მითუმეტეს ასეთი არაერთი ფაქტი აღინიშნა 2014 წელს, ხოლო ბუღალტერიაში წარედგინა მხოლოდ სამუშაო ცვლის ბოლოს ამოხედილი “Z” ანგარიში.

აუდიტორული პროცედურებით დგინდება, რომ ბოტანიკურ ბაღში ნაღდი ფულის მოძრაობაზე კონტროლის მექანიზმები არ მუშაობს. მოპოვებული მტკიცებულებებით, არსებობს მაღალი რისკი, ბოტანიკური ბაღის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული რეალური შემოსავლების არასრულად ასახვისა და მიღებული თანხების არადაინიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ქონების გადასახადი

ბოტანიკური ბაღის ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას, 2014 წელს გათვალისწინებული არ არის ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული 2 106 940 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები და 22 050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო 2015 წელს - 2 283 892 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები და 22 050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

ბოტანიკური ბაღის 2014 წლის ბალანსით, ორგანიზაციას 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 1 061 541 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, ხოლო 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1 271 390 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. შესაბამისად, ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 1 166 466 ლარს. ამასთან, 2014 წლის ბალანსში არ არის აღრიცხული ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული არანაკლებ 1 190 600 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები¹⁵. ბოტანიკური ბაღის 2014 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციით, ქონების გადასახადით დაბეგრილია მხოლოდ 250 126 ლარის ღირებულების ძირითადი

დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“ მე-20 მუხლის მე-8 და მე-11 პუნქტებისა და მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹⁵ ღირებულება აღებულია დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნიდან N30/11-15/1, 30/11/2015 წ.



აქტივები, თუმცა რა პრინციპით იქნა შერჩეული დასაბეგრი ბაზა, აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა განმარტებული. შესაბამისად, 2014 წლის ქონების გადასახადის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული ბოტანიკური ბაღის მფლობელობაში არსებული 2 106 940 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები.

ბოტანიკური ბაღის 2015 წლის ბალანსით, ორგანიზაციას 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 1 271 390 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 657 216 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. შესაბამისად, ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 1 464 303 ლარს. ბოტანიკური ბაღის 2015 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში ქონების გადასახადით დაბეგრილია მხოლოდ 371 011 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, თუმცა რა პრინციპით იქნა შერჩეული დასაბეგრი ბაზა, აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა განმარტებული. ამასთან, ისევე როგორც 2014 წლის ბალანსში, 2015 წლის ბალანსშიც არ ყოფილა აღრიცხული 1 190 600 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. შესაბამისად, 2015 წლის ქონების გადასახადის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული ბოტანიკური ბაღის მფლობელობაში არსებული 2 283 892 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები.

საჯარო რეესტრის მონაცემებით¹⁶, 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით და 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ბოტანიკურ ბაღს ერიცხებოდა 1 088 308 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ორგანიზაციის 2014 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის შესაბამისად, 2014 წელს დაბეგრილია 4.5 ჰა სახნავი და სხვა მიწები და 50 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. იგივე მოცულობაა დაბეგრილი 2015 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის მიხედვით. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2014 წელს, ისევე როგორც 2015 წელს, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოიყენებოდა არანაკლებ 72 050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რაც 22 050 კვ.მ-ით მეტია ბოტანიკური ბაღის შესაბამისი წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში მითითებულ ფართობზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბოტანიკურ ბაღს სახნავი და სხვა მიწები, საჯარო რეესტრის მონაცემებით, არ ერიცხება.

¹⁶ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.34.25.107; 05.34.25.108; 05.34.25.125



მოგების გადასახადი

შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენილობის გამო, ვერ დგინდება, ბოტანიკური ბაღის 2014 და 2015 წლების მოგების გადასახადის გაანგარიშების საფუძვლიანობა.

ბოტანიკური ბაღის მოგების გადასახადის დეკლარაციების თანახმად, 2014 წელს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია 1 128 091 ლარი, ხოლო 2015 წელს 1 328 634 ლარი. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გამოქვითვების ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებული დოკუმენტური მტკიცებულებები, რითაც შეფასდებოდა მოგების გადასახადის გაანგარიშების საფუძვლიანობა.

უარყოფითი მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აზნაფში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ 2014 წლის და 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად არ ასახავს ბოტანიკური ბაღის ფინანსურ მდგომარეობას შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

ადამიანური რესურსები

ბოტანიკური ბაღის წესდების შესაბამისად, დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ხოლო ბოტანიკური ბაღის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთპიროვნულად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით იწვევს სხვა საჭირო პირებს. 2014 წელს ბოტანიკურ ბაღში გათვალისწინებული იყო 168 საშტატო ერთეული, ხოლო წლის ბოლოს გაიზარდა და განისაზღვრა 175 ერთეულით. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განსაზღვრული იყო 177 ერთეული, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 183 ერთეული. 2014-2015 წლების ანალიზით ჩანს, რომ საშტატო ერთეულების ზრდასთან ერთად ბოტანიკურ ბაღში მუდმივად არსებობდა ვაკანსიები, შესაბამისად ასეთ პირობებში საშტატო ერთეულის ყოველწლიური ზრდა საფუძველს მოკლებულია. გარდა შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისა, 2014 წელს ბოტანიკურ ბაღს გაფორმებული ჰქონდა 13, ხოლო 2015 წელს - 10 ვადიანი შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებით დასაქმებულთა სამუშაო დრო განისაზღვრებოდა 40 საათიანი სამუშაო კვირით, გამონაკლისს წარმოადგენდა ყოფილ დირექტორთან თამაზ



დარჩიძესთან 2015 წლის 31 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება¹⁷, რომლითაც ის დანიშნული იქნა ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის კონსულტანტად და რომლის მიხედვითაც, სამუშაო დრო განსაზღვრული იყო შეუზღუდავი რეჟიმით. წლების მიხედვით შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა:

პერიოდი	2012		2013		2014		2015	
	საშტატო	ფაქტი	საშტატო	ფაქტი	საშტატო	ფაქტი	საშტატო	ფაქტი
წლის დასაწყისში	116	116	160	158	168	161	177	167
წლის ბოლოს	133	131	160	158	175	168	183	175

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის 2015 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით, საფინანსო-ეკონომიკურ განყოფილებაში მოლარის თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში, ჩატარებული იქნა ატესტაცია. ატესტაციაში მონაწილე 8 მოლარიდან წარმატებით გაიარა ერთმა, ხოლო 7 მოლარემ ვერ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნები, რის საფუძველზეც 6 თანამშრომელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და იმავდროულად აყვანილ იქნენ ხელშეკრულებით, დროებით მოვალეობის შემსრულებლად. საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის რეკომენდაციით, 2016 წელს აღნიშნული პირები დანიშნულ იქნენ მოლარეებად შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. გამომდინარე აქედან, ატესტაციის ჩატარების მიზანი არ შესრულებულა.

პრემია

ბოტანიკურ ბაღში თანამშრომლებზე გაცემული პრემიების ოდენობამ 2014 წელს შეადგინა 424 873 ლარი, ხოლო 2015 წელს 369 598 ლარი, რაც შესაბამისად, 2 273 ლარით და 44 098 ლარით მეტია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან. ამასთან, ორგანიზაციაში არ არის შემუშავებული პრემიების გაცემის წესი, ხოლო შესაბამისი ბრძანებების დასაბუთება ფორმალურ ხასიათს ატარებს. 2015 წლის აგვისტოში¹⁸, რიგ თანამშრომლებზე, პრემია გაცემულია იმ პირობებში, როდესაც მათ მიმართ, ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები¹⁹.

¹⁷ ხელშეკრულება N213, 31/12/2015 წ.

¹⁸ ბრძანება N58, 27 აგვისტო 2015წ.

¹⁹ ბრძანება N44, 7 აგვისტო 2015წ.



დარღვევა-ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს

გაწმენდის სამუშაოები

ბოტანიკური ბაღის მიერ, 2015 წლის 15 ოქტომბერს, ბოტანიკურ ბაღში არსებულ ეგზოტურ მცენარეთა საკოლექციო განყოფილებაში, ბამბუკის პლანტაციის ტერიტორიის²⁰ დასუფთავების, ეკალ-ბარდებისაგან, თვითნათესი მცენარეებისაგან, ჩაწოლილი ბამბუკისაგან, ჩამოტეხილი და წაქცეული ხე-მცენარეებისაგან გაწმენდის, მოჭრილი ბამბუკისაგან ჭიგოებისა და საცოცხე მასალის დამზადება/ გამოზიდვისა და წმენდის შედეგად დაგროვილი მასის (ნარჩენების) ნაკვეთიდან გამოტანის მომსახურებაზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება²¹. ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ჭაბუკა - 2008“-სთან, ხოლო ღირებულებამ და გადახდამ შეადგინა 4 800 ლარი. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით²² მიმწოდებლის მიერ მომსახურება განხორციელებულია სრულად.

ბოტანიკური ბაღის ეგზოტების საკოლექციო ნაკვეთის გაწმენდასთან დაკავშირებული სამუშაოები ორგანიზაციის მიერ შესყიდული იქნა 2015 წლის დასაწყისშიც. შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის²³ საშუალებით, სადაც ერთი მონაწილის პირობებში, გაიმარჯვა ი/მ „ედნარ ფუტკარაძემ“. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების²⁴ ღირებულებამ და გადახდამ შეადგინა 9 900 ლარი. მისაწოდებელი სამუშაო მოიცავდა ბოტანიკური ბაღის ეგზოტების საკოლექციო ნაკვეთის²⁵ ეკალ-ბარდებისაგან, მხვიარებისაგან და სარველებისაგან გაწმენდას, ზეხმელი და თვითნათესი ხეების მოჭრასა და გაწმენდილი ბიომასის 300-500 მეტრის მანძილზე გამოზიდვის სამუშაოებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბოტანიკური ბაღის ეგზოტიკურ მცენარეთა კოლექციის დეპარტამენტში, რომლის საქმიანობა მოიცავს ეგზოტების საკოლექციო ნაკვეთსაც, 2015 წელს დასაქმებული იყო 37 თანამშრომელი, მათ შორის 21 დასაქმებულია მუშის სტატუსით. აღნიშნულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, მუშის მოვალეობაში შედის ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, მათი გაწმენდითი და გაცელვითი სამუშაოები. შესაბამისად, ბოტანიკური ბაღის მიერ ასეთი შინაარსის სამუშაოების შესყიდვა, სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და საკადრო რესურსების არაოპტიმალურ გამოყენებაზე მიუთითებს.

²⁰ 9 600 კვ.მ

²¹ ხელშეკრულება N110, 15/10/2014 წ.

²² მიღება-ჩაბარების აქტი 20/11/2015 წ.

²³ SPA150009325

²⁴ ხელშეკრულება N043, 08/04/2015 წ.

²⁵ 30 000 კვ.მ



სალაროს შემოსასვლელის რეკონსტრუქციის, საპირფარეშოსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

ბოტანიკური ბაღის მიერ, ელექტრონული ტენდერის საშუალებით²⁶, ი/მ „ჯემალ ირემადესგან“ შესყიდული იქნა მწვანე კონცხის სალაროს შემოსასვლელის რეკონსტრუქციის, საპირფარეშოსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების²⁷ ღირებულებამ შეადგინა 102 999 ლარი, ხოლო სამუშაოების გაწევის ბოლო ვადად განისაზღვრა 2015 წლის 25 დეკემბერი. ვადის ამოწურვის დღეს, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება²⁸, რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 20 კალენდარული დღით, 2015 წლის 14 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულებაში ცვლილებას საფუძვლად დაედო გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია²⁹ მასზედ, რომ 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, ქალაქ ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით, ნალექი აღინიშნა 30 დღე. შეთანხმების თანახმად, ნალექიანი კლიმატი მიმწოდებლისთვის სამუშაოების წარმოების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა, თუმცა შეთანხმების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ხელშეკრულების მე-11 მუხლი, სადაც დაუძლეველი ძალის შემთხვევის პირობები არ არის გაწერილი. უამინდობა, შესაბამის პერიოდში მწვანე კონცხის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ფორს-მაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება, რაც შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული³⁰.

ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის და დამაბოლოებელი მოწყობილობების მოწყობის სამონტაჟო სამუშაოები

ბოტანიკური ბაღის მიერ, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით³¹, შპს „ჯეო სერვისისგან“, შესყიდული იქნა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის და დამაბოლოებელი მოწყობილობების მოწყობის სამონტაჟო სამუშაოები. ხელშეკრულების³² ღირებულებამ შეადგინა 30 676 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავდა

²⁶ SPA150024863

²⁷ ხელშეკრულება N148, 26/10/2015 წ.

²⁸ მხარეთა შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს დადებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N148 ხელშეკრულებაში N02 ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება, 25/12/2015 წ.

²⁹ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N12/1-946, 21/12/2015 წ.

³⁰ შესაძლო პირგასამტეხლო დღეში შეადგენს 515 ლარს.

³¹ SPA150012084

³² ხელშეკრულება N061 11/05/2015 წ.



გაუთვალისწინებელ ხარჯებს, სამუშაოების 10%-ის ოდენობით, რაც გეგმური დაგროვებისა და დღგ-ს ჩათვლით შეადგენდა 2 788.8 ლარს. შემსყიდველის მიერ გაუთვალისწინებელი ხარჯების თანხა მიმწოდებელზე გადახდილია იმ პირობებში, როდესაც არ არის წარმოდგენილი ხარჯების გაწევის დოკუმენტური დასაბუთება.

დეკორატიული კუთხის მოწყობის სამუშაოები

ბოტანიკური ბაღის ზღვისპირა პარკში დეკორატიული კუთხის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით³³, ბოტანიკურ ბაღსა და შპს „სევენ სტარს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება³⁴. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 12 366 ლარი. მხარეებს შორის 2014 წლის 1 აგვისტოს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით, დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად შესრულება და მიმწოდებელზე გადახდილია 12 006 ლარი³⁵. ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში სათანადოდ არ არის ასახული შესასრულებელი/ შესრულებული სამუშაოების განზომილების ერთეული, რაოდენობა და მოცულობა, რის გამოც ვერ დგინდება მათი გადახდილ ფასთან შესაბამისობა.

„Expo Antalya 2016“-ში ბათუმის ბოტანიკური ბაღის საგამოფენო კუთხის მოწყობისა და გამოფენის ორგანიზება

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში საერთაშორისო გამოფენა „Expo Antalya 2016“-ში ბათუმის ბოტანიკური ბაღის საგამოფენო კუთხის მოწყობისა და გამოფენის ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით³⁶, ბოტანიკურ ბაღსა და ი/მ „ზაურ ბაკურიძეს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება³⁷. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 132 000 ლარი. ხელშეკრულების³⁸ შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ბოტანიკური ბაღის მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი. მხარეებს შორის ოთხ შემთხვევაში გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები, დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად შესრულება და გადახდილია მიმწოდებელზე 132 000

³³ SPA140013527

³⁴ ხელშეკრულება N068, 30/06/2014 წ.

³⁵ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების გამოკლებით

³⁶ SPA150030643

³⁷ ხელშეკრულება N173, 09/12/2015 წ.

³⁸ ხელშეკრულების 5.2 პუნქტი



ლარი. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებით ირკვევა, რომ სამუშაოების მიმდინარეობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე, ბოტანიკური ბაღის მიერ არ არის განხორციელებული ეტაპობრივი ინსპექტირება³⁹. სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ასახული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს რაოდენობა, მოცულობა და ღირებულება, ხოლო შემსყიდველის სახელით სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი და მიმღები, მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იმყოფებოდა სამუშაოების შესრულების ადგილზე, თურქეთის რესპუბლიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტებით არ გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება, შესრულებაში ნაჩვენები 132 000 ლარის ღირებულების სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების და გადახდილი ფასის შესაბამისობაზე.

წინა ბაქნიანი თვითმავალი

2014 წლის 24 სექტემბერს, ბოტანიკურმა ბაღმა, წინა ბაქნიანი თვითმავალის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁴⁰, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 55 000 ლარი. აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, ბაზრის კვლევის ეტაპზე აღმოჩნდა, რომ წინა ბაქნიანი თვითმავალი საქართველოს ბაზარზე არ იყიდება, ინტერნეტის საშუალებით კი მოძიებული იქნა რუსეთის ბაზარზე, რის საფუძველზეც განსაზღვრული იქნა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოტანიკური ბაღის შესყიდვების კოორდინატორის ცნობაზე თანდართული ინტერნეტრესურსის⁴¹ თანახმად, თვითმავალის მაქსიმალური ფასი რუსეთის ფედერაციაში შეადგენს 13 462 აშშ დოლარის ექვივალენტ 885 000 რუბლს⁴², ტრანსპორტირებისა და სხვა გადასახდელების სავარაუდო ოდენობის გათვალისწინებით, ბოტანიკური ბაღის მიერ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 31 450 აშშ დოლარის ექვივალენტი 55 000 ლარის⁴³ განსაზღვრა, ბაზრის არასათანადო კვლევაზე მიუთითებს.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, ერთი მონაწილის პირობებში, გაიმარჯვა შპს „მსოფლიო ტექნიკამ“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

³⁹ შესაბამისი პასუხისმგებელი პირებიდან, მამუკა ვაშაყმაძე ადასტურებს მხოლოდ მეორე ეტაპის - 59 000 ლარის ღირებულების სამუშაოების ინსპექტირებას, ხოლო მეორე პირი - თენგიზ ტარიელაძე საერთოდ არ იყო მივლინებული სამუშაოს შესრულების ადგილზე.

⁴⁰ SPA140022452

⁴¹ <http://www.agroserver.ru/b/samokhodnoe-shassi-agromash-50ssh-593755.htm>

⁴² ცნობის მიწოდების დღის ოფიციალური კურსი: 1 აშშ დოლარი = 65.7408 რუსული რუბლი

⁴³ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი



ხელშეკრულება⁴⁴. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, შპს „მსოფლიო ტექნიკის“ მიერ წარმოდგენილი იქნა მიწოდებული საქონლის შეძენის, ტრანსპორტირებისა და საგადასახადო დოკუმენტაცია⁴⁵. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ აუდიტის ობიექტის მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, 53.4%-ით აღემატება, შპს „მსოფლიო ტექნიკის“ მიერ წინა ბაქნიანი თვითმავალის შეძენასა და შემსყიდველისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით გაწეულ სრულ დანახარჯს. ზემოაღნიშნულის გამო, წინა ბაქნიანი თვითმავალის შესყიდვაზე გადახდილი ფასის⁴⁶ საბაზრო ფასთან შესაბამისობა რისკის შემცველია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ბოტანიკური ბაღის სამხრეთ განყოფილებისა და ზედა პარკის დამეწყრილი და მეწყერსაშიში უბნების გეოლოგიური კვლევისა და მათ გამაგრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვასთან დაკავშირებით, ბოტანიკურ ბაღსა და შპს „აჭარსპეცპროექტს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით⁴⁷, 2014 წლის 18 ნოემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება⁴⁸. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 28 000 ლარით, ხოლო მომსახურების მიწოდების ვადად - ხელშეკრულების გაფორმებიდან 38 კალენდარული დღე, 2015 წლი 26 დეკემბრის ჩათვლით. მხარეებს შორის 2014 წლის 5 დეკემბერს და 26 დეკემბერს შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად შესრულება. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გამაგრებარეკონსტრუქციის პროექტი არ შეესაბამება მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს და არ ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის წარმოებისათვის, რის გამოც მიმწოდებლის მიერ თავიდან იქნა დამუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 2015 წლის 4 დეკემბერს განმეორებით იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოებებში, ბოტანიკური ბაღის მიერ არ იქნა გამოყენებული მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების მექანიზმი, რაც მიწოდების თარიღის გათვალისწინებით შეადგენს 27 440 ლარს.

⁴⁴ ხელშეკრულება N108, 13/10/2014 წ.

⁴⁵ შპს „მსოფლიო ტექნიკის“ წერილი N1/60, 04/08/2016 წ.

⁴⁶ 55 000 ლარი

⁴⁷ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წერილი 25/22554, 14/11/2014 წ.

⁴⁸ ხელშეკრულება N033, 18/11/2014 წ.



სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები

ბოტანიკურ ბაღსა და ი/მ „გელა პატარაიას“ შორის, 2014 წლის 2 ოქტომბერს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 7 546 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 10 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის შესახებ. შესყიდვას საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის განკარგულება N1693, რომლის შესაბამისადაც შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ უფლება, 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის⁴⁹ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი (ან უკეთესი) ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მათთვის 2014 წლის კრიტიკულად აუცილებელი ოდენობით და არაუმეტეს სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის საწყისი სავაჭრო ფასისა⁵⁰.

შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შესყიდული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების სპეციფიკაცია არსებითად არ განსხვავდება კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული სპეციფიკაციისაგან, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი 10 ერთეული კომპიუტერის შესყიდვის კრიტიკული აუცილებლობის განმსაზღვრელი დოკუმენტები. მითუმეტეს, 2014 წლის 9 ოქტომბერს მიღებული 10 ერთეული კომპიუტერიდან მხოლოდ ხუთი ერთეული განაწილებულია 2014 წლის ოქტომბრის თვეში, დანარჩენი სამი ერთეული - ნოემბრის თვეში, ერთი ერთეული - 2015 წლის იანვრის და ერთი ერთეული - 2015 წლის მაისის თვეში. შედეგად ვერ დასტურდება 10 ერთეული კომპიუტერის კრიტიკულად შესყიდვის აუცილებლობა⁵¹.

შესყიდვის სხვა ხარვეზები

➤ აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ელექტრონული ტენდერის/გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ტექნიკური დავალების რიგი მოთხოვნები ფორმალურ ხასიათს ატარებს და მისი წარმოდგენლობა/შეუსრულებლობა არ აბრკოლებს სახელმწიფო

⁴⁹ CON140000021

⁵⁰ 780 ლარი

⁵¹ დარღვეულია საქართველოს მთავრობის განკარგულება N1693, 19/09/2014 წ. „შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“



შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ან/და საქონელის/მომსახურების მიღებას⁵².

➤ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაგვიანებით⁵³.

უძრავი ქონების იჯარა

შესაბამის პერიოდში მოქმედი დებულების „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ა(ა)იპ-ის საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების სარგებლობაში განკარგვა დასაშვებია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით. ბოტანიკური ბაღის მიერ არასაცხოვრებელი ფართის იჯარით სარგებლობაში განკარგვები განხორციელებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე, პირდაპირი განკარგვის ფორმით. აგრეთვე, აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტუარს ნივთის იჯარით გადაცემისათვის ესაჭიროება მესაკუთრის თანხმობა. ბოტანიკური ბაღის მიერ მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობაში განკარგვა განხორციელებულია ქონების მესაკუთრის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე.

ციტრუსის რეალიზაცია თანმდევი მომსახურებით

2014-2015 წლებში ბოტანიკური ბაღის მიერ, აუქციონის ფორმით განხორციელებულია ციტრუსის რეალიზაცია, რომლის თანმდევ პირობად განსაზღვრულია, რომ შემსყიდველს ეძლევა ექსკლუზიური უფლება ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, საკუთარი ძალებით მოაწყოს პროდუქციის სარეალიზაციო პუნქტები, ხალხმრავალ სამ სხვადასხვა უბანზე. რადგან ბოტანიკური ბაღის ტერიტორია წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ხოლო ბოტანიკურ ბაღს ქონება გადაცემული აქვს უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტუარს ნივთის იჯარით

⁵² SPA140028464; SPA140028464; SPA150013329; SPA0004335; SPA150012084; SPA150012176; SPA 150024814; SPA 50024199; SPA150026703; SPA1500030643; SPA 150029719; SPA130022737

⁵³ SPA140005289; SPA140022339; SPA150004335; SPA150024863



გადაცემისათვის ესაჭიროებოდა მესაკუთრის თანხმობა, თუმცა ბოტანიკური ბაღის მიერ მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობაში განკარგვა განხორციელებულია ქონების მესაკუთრის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2015 წელს რეალიზებულია 7 600 კგ მანდარინი და 2 600 კგ ფორთოხალი⁵⁴, თუმცა რეალიზაციაში არ არის ნაჩვენები მსხლისებრი შედოვი, გრეიფუტი დუნკანი, გრეიფუტი ნაცუ-მიკანი, რომელთა დაკრეფა და ღირებულების გადახდაც შემსყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებას განეკუთვნებოდა.

ბილეთების რეალიზაცია უნაღდო ანგარიშსწორებით

ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ვიზიტორს ბოტანიკური ბაღის შესაბამის შესასვლელთან, სალაროში თანხის გადახდის შემდეგ, ეძლევა საკონტროლო-სალარო აპარატის ფისკალური ჩეკი და Touch Screen Monitor System for Tickets-ის თერმოპრინტერზე დაბეჭდილი ბილეთი, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, რა ფორმითაც სარგებლობენ მხოლოდ ტურისტული კომპანიები⁵⁵, თერმოპრინტერზე ბილეთის ამობეჭდვა არ ხორციელდება და ვიზიტორის ბოტანიკურ ბაღში შესვლაზე ფორმდება მხოლოდ ვაუჩერი, რომელშიც მიეთითება ვიზიტორთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ვაუჩერს ხელმოწერით ადასტურებს მოლარე, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია არ აისახება თერმოპრინტერის თოთოეული დღის ჯამურ მონაცემში.

სანერგე მეურნეობა

ბოტანიკური ბაღის მიერ, 2014 წელს რეალიზებულია 413 ძირი ნერგი, ხოლო 2015 წელს - 2 921 ძირი ნერგი. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ სანერგე მეურნეობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯები აღემატება მათი რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს⁵⁶. აღსანიშნავია, რომ ბოტანიკური ბაღის ბუღალტერიაში არ ხდება ნერგების მიღების/გამოყვანის ანალიზური აღრიცხვა, რაც წარმოშობს შემოსავლების აღურიცხაობის რისკს.

⁵⁴ ღირებულება 5 610 ლარი

⁵⁵ შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე

⁵⁶ 2014 წელს სანერგე მეურნეობისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 135 182 ლარს, ხოლო მიღებული შემოსავალი - 21 691 ლარს; 2015 წელს გაწეული ხარჯი შეადგენს 111 980 ლარს, ხოლო მიღებული შემოსავალი - 63 565 ლარს.



ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა

ბოტანიკური ბაღს 2012 წელს შეძენილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა „ერთიგონი“, თუმცა ორგანიზაციას 2014-2015 წლებში ბუღალტერია წარმოებული აქვს აღნიშნული პროგრამის გამოყენების გარეშე. მიზეზებზე აუდიტის ობიექტის მიერ სათანადო განმარტება ვერ იქნა მიღებული.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

